საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/103 " 27 " სექტემბერი 2024 წ.

განკარგულება

მოსამართლის თანამდებობაზე ნ. ხაბალაშვილის განწესებაზე უარის თქმის შესახებ

1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტის, 35-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა თანდართული დასაბუთებების საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 28 ივნისს გამოცხადებული მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრის შედეგების საფუძველზე ნინო ხაბალაშვილი არ იქნეს განწესებული ზესტაფონის რაიონული სასამართლოს, ახმეტის მუნიციპალიტეტში თელავის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი, სამტრედიის რაიონული სასამართლოსა და ჭიათურის მუნიციპალიტეტში საჩხერის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობებზე.

2. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[3] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში. საჩივარი წარედგინება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს (მის.: თბილისი, ბოჭორმის ქ. 12) ამ განკარგულების საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 1 კვირის ვადაში.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ნინო ქადაგიძე

ბიულეტენი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა 27.09.2024
მოსამართლეობის კანდიდატი ნინო ხაბალაშვილი დაინიშნოს
1. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 2. თელავის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლედ ახმეტის მუნიციპალიტეტში 3. სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 4. საჩხერის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლედ ჭიათურის მუნიციპალიტეტში

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ნინო ქადაგიძე

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე ნინო ხაბალაშვილის კენჭისყრისას მიღებული გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით, საქართველოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე დაიწყო კონკურსი მოსამართლეების შესარჩევად.

საბჭოს 2024 წლის 24 ივლისის №1/77 განკარგულებით, მითითებულ კონკურსში დარეგისტრირდა 17 პირი, მათ შორის - ნინო ხაბლაშვილი.

კონკურსში მონაწილე კანდიდატის შესახებ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით მოპოვებული ინფორმაციის გაცნობის და საჯარო მოსმენების პროცესში კანდიდატის მიერ გაცემული პასუხების ერთობლი ანალიზის საფუძველზე მივიჩნევ, რომ კანდიდატმა ვერ შესძლო საკუთარი შესაძლებლობების საუკეთესოდ წარმოჩენა, რაც არ მაძლევს მისი მხარდაჭერის საფუძველს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვიღებ გადაწყვეტილებას, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე მხარი არ დავუჭირო **ნინო ხაბლაშვილის** კანდიდატურას.

ნინო ქადაგიძე

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ბიულეტენი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა 27.09.2024
მოსამართლეობის კანდიდატი ნინო ხაბალაშვილი დაინიშნოს
1. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 2. თელავის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლედ ახმეტის მუნიციპალიტეტში 3. სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 4. საჩხერის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლედ ჭიათურის მუნიციპალიტეტში

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე
ნინო ხაბალაშვილის კენჭისყრის
გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის N1/52 განკარგულების საფუძველზე დაიწყო რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა. აღნიშნულ პროცედურაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 ივლისის N1/77 განკარგულებით კანდიდატად დარეგისტრირდა ნინო ხაბალაშვილი.

აღსანიშნავია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად, 2024 წლის 17 სექტემბერს შევადგინე პროცედურაში მონაწილე ყველა კანდიდატის, მათ შორის ნინო ხაბალაშვილის შეფასების დასაბუთება. აღნიშნული დასაბუთება დაეყრდნო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ორგანული კანონის 34[2] მუხლის საფუძველზე კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დასკვნას და საჯარო მოსმენაზე მის მიერ გამოვლენილ თვისებებსა და მახასიათებლებს. ინფორმაციის ანალიზისა და შეჯერების შედეგად კი მივიჩნიე, რომ ნინო ხაბალაშვილი ორგანული კანონით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეული მახასიათებლის მიმართ უნდა შეფასდეს დადებითად, შესაბამისად გავაკეთე დასკვნა, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ნინო ხაბალაშვილს ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული წესის თანახმად, თითოეულ კომპონენტში მივანიჭე შესაბამისი ქულა, რის შედეგადაც მან ჯამში მიიღო - 85 ქულა, რაც ორგანული კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 85% შეადგენს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 19 სექტემბრის N1/82 განკარგულებით რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე

გამოცხადებული კონკურსის შემდგომ ეტაპზე გადავიდა 17 კანდიდატი, მათ შორის, ნინო ხაბალაშვილი.

მიმაჩნია, რომ ნინო ხაბალაშვილი მისი ცოდნის, კომპეტენციის, პროფესიული გამოცდილების, პროფესიული თვისებების, გამოვლენილი უნარ-ჩვევებისა და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლების გათვალისწინებით, შესწევს უნარი ღირსეულად შეასრულოს მოსამართლის რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობა.

ამრიგად, 2024 წლის 27 სექტემბერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე მხარი დავუჭირე ჭიათურის მუნიციპალიტეტში საჩხერის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე ნინო ხაბალაშვილის 3 წლის ვადით განწესების გადაწყვეტილებას.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

27 სექტემბერი, 2024 წელი

ლევან თევზაძე

ბიულეტენი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა 27.09.2024
მოსამართლეობის კანდიდატი ნინო ხაბალაშვილი დაინიშნოს
1. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 2. თელავის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლედ ახმეტის მუნიციპალიტეტში 3. სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 4. საჩხერის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლედ ჭიათურის მუნიციპალიტეტში

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ლევანი თევზაძე

27 სექტემბერი, 2024 წელი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს,
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

ჭიათურის მუნიციპალიტეტში საჩხერის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე ნინო ხაბალაშვილის განწესების შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს რაიონულ (საქალაქო) საქალაქო სასამართლოებში მოსამართლის 17 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა, რომელშიც სხვა კანდიდატებთან ერთად მონაწილეობა მიიღო **ნინო ხაბალაშვილმა.**

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატის შესახებ მოპოვებული წერილობითი ინფორმაციის და საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული მთაბეჭდილების საფუძველზე, შეკვეთილ პროცედურაში მონაწილე კანდიდატი - ნინო ხაბალაშვილი, რის შედეგადაც მივიჩნევ, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მას 100 ქულიდან მივანიჭე 85 ქულა.

ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრის მიერ განხორციელებული შეფასებების საფუძველზე კანდიდატის მიერ დაგროვებულ ქულათა ჯამმა შეადგინა 1137 ქულა, რაც მაქსიმალური ქულის 81.21% შეადგენს, ხოლო კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ყველა მათგანმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 19 სექტემბრის №1/82 განკარგულების თანახმად, აღნიშნული პროცედურის შემდეგ ეტაპზე გადავიდა - ნინო ხაბალაშვილი, ხოლო საქართველოს რაიონულ (საქალაქო) საქალაქო სასამართლოებში მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული

კონკურსის ფარგლებში დაგროვებული ქულათა ჯამის მიხედვით, მან დაიკავა მე-16 პოზიცია.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით, 2024 წლის 27 სექტემბერს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა, სადაც მხარი დაუჭირე ჭიათურის მუნიციპალიტეტში საჩხერის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე ნინო ხაბალაშვილის განწესებას, კანონით განსაზღვრული ვადით.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევანი თევზაძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქეთევან ცინცაძე

ბიულეტენი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა 27.09.2024
მოსამართლეობის კანდიდატი ნინო ხაბალაშვილი დაინიშნოს
1. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 2. თელავის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლედ ახმეტის მუნიციპალიტეტში 3. სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 4. საჩხერის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლედ ჭიათურის მუნიციპალიტეტში

რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე **ნინო ხაბალაშვილის**

3 წლის ვადით განწესების საკითხზე უარის თქმის

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

27 სექტემბერი, 2024 წელი ქ. თბილისი

2024 წლის 27 სექტემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლისა და 341 მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად ჩატარებული ღია კენჭისყრის ფარგლებში, მხარი არ დავუჭირე რაიონულ სასამართლოებში არსებულ (დარჩენილ) ვაკანტურ თანამდებობებზე ნინო ხაბალაშვილის მოსამართლედ განწესებას (კერძოდ, კანდიდატთა სარეიტინგო სიის მიხედვით ჩატარებული კენჭისყრების შედეგად დარჩენილ ვაკანტურ თანამდებობებზე - ზესტაფონის, თელავის, სამტრედიის და საჩხერის რაიონული სასამართლოებში), შემდეგ გარემოებათა გამო:

კანდიდატის **ნინო ხაბალაშვილის** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კანდიდატის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ მოპოვებული ინფორმაციის და კანდიდატთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე, მივედი დასკვნამდე, რომ კანდიდატი - **ნინო ხაბალაშვილი** სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, თუმცა კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატი, ჩემს მიერ შედარებით დაბალი შეფასებით - 81 ქულით (81%) შეფასდა (იხ. ქეთევან ცინცაძის - 2024 წლის 16 სექტემბრის შეფასების დასაბუთება - კანდიდატის ნინო ხაბალაშვილის შესახებ). ჩემი 2024 წლის 16 სექტემბრის შეფასების დასაბუთების თანახმად, კანდიდატმა ნინო ხაბალაშვილმა გასაუბრების ეტაპზე რიგ სამართლებრივ შეკითხებს ვერ გასცა სრულყოფილი და სწორი პასუხი. ამასთან, საყურადღებოა აგრეთვე სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება ნინო ხაბალაშვილის შესახებ, რომლის თანახმადაც, მართალია კანდიდატს შეეძლო მნიშვნელოვან საკითხებზე ფოკუსირება, თუმცა საჭიროებდა დამატებით მითითებებს, ვინაიდან, იყო ხარვეზები მაგალითად - მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების ფორმულირებაში, დადგენაში და ა.შ. წერითი უნარების შეფასებისას დამოუკიდებელი საბჭო მიუთითებს, რომ ნინო ხაბალაშვილის მიერ მომზადებული წერილობითი დოკუმენტები იყო უმეტესად ხარვეზიანი და საჭიროებდა დამატებით შესწორებას და კორექტირებას.

ამდენად, ნინო ხაბალაშვილთან მიმართებაში არსებული ზემოაღნიშნული შეფასებების გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი ამ ეტაპზე არ აკმაყოფილებს მოსამართლის თანამდებობაზე გასამწესებლად საჭირო კომპეტენტურობის კრიტერიუმს, რის გამოც მხარი არ დავუჭირე მისი რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესებას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ქეთევან ცინცაძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ლევან მიქაბერიძე

ბიულეტენი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა 27.09.2024
მოსამართლეობის კანდიდატი ნინო ხაბალაშვილი დაინიშნოს
1. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 2. თელავის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლედ ახმეტის მუნიციპალიტეტში 3. სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 4. საჩხერის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლედ ჭიათურის მუნიციპალიტეტში

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საჩხერის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის - ჭიათურის მუნიციპალიტეტში, თანამდებობაზე ნინო ხაბალაშვილის განწესების შესახებ გადაწყვეტილების

დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით, დაიწყო რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 ივლისის №1/77 განკარგულებით, კანდიდატად დარეგისტრირდა ნინო ხაბალაშვილი.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებული ინფორმაციის საფუძვლიანი შესწავლის, მათ შორის, კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენის საფუძველზე, შევადგინე ნინო ხაბალაშვილის შეფასების დასაბუთება. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების ყველა კრიტერიუმის მახასიათებლით შემოწმებისას ნინო ხაბალაშვილი შევაფასე სრულად დადებითად, რის გამოც მივიჩნიე, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. საგულისხმოა, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ლალი აბაშმაძე შეფასებული მყავს 86 ქულით, რაც „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული მაქსიმალური შეფასების 86% შეადგენს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 19 სექტემბრის №1/82 განკარგულებით რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შემდგომ ეტაპზე გადავიდა 17 კანდიდატი, მათ შორის, ნინო ხაბალაშვილი.

მიმაჩნია, რომ ნინო ხაბალაშვილს შესწევს უნარი ღირსეულად შეასრულოს მოსამართლის რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობა. შესაბამისად, იუსტიციის

უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე მხარი დავუჭირე მის საჩხერის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის - ჭიათურის მუნიციპალიტეტში, თანამდებობაზე განწესების შესახებ გადაწყვეტილებას.

ლევან მიქაბერიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

27 სექტემბერი, 2024 წელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ლევან მურუსიძე

ბიულეტენი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა 27.09.2024
მოსამართლეობის კანდიდატი ნინო ხაბალაშვილი დაინიშნოს
1. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 2. თელავის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლედ ახმეტის მუნიციპალიტეტში 3. სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 4. საჩხერის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლედ ჭიათურის მუნიციპალიტეტში

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

ნინო ხაბალაშვილის მოსამართლედ განწესებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

27 სექტემბერი, 2024 წელი

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 34[1] მუხლის მე-12-13 პუნქტების შესაბამისად, ნინო ხაბალაშვილის შეფასების შედეგების ანალიზისა და გასაუბრების საფუძველზე, მივიღე გადაწყვეტილება არ დავუჭირო მხარი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 28 ივნისის N1/52 განკარგულებების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში მის მოსამართლედ განწესებას.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლში მითითებული კრიტერიუმების მახასიათებლებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ განხორციელებული შეფასებებისა და შეფასებათა დასაბუთებების შედეგების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მოთხოვნებს, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მის მიერ მოპოვებული ქულათა ჯამი შეადგენს 1137 ქულას (რაც ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (1400) 81,21 პროცენტია). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მასთან გამართულმა გასაუბრებამ გამოავლინა მნიშვნელოვანი ხარვეზები კომეტენტურობის მხრივ, კერძოდ, სამართლის ნორმების ცოდნისა და სამართლებრივი დასაბუთების უნარის მახასიათებლებში. დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხების უმრავლესობა იყო უზუსტო, ხოლო მოყვანილი არგუმენტები ნაკლებად ან სრულიად არადამაჯერებელი. მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ჩემის აზრით, მოცემულ ეტაპზე მისი კვალიფიკაცია არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ ნინო ხაბალაშვილმა სრულფასოვნად შეძლოს მოსამართლის უფლებამოსილების შესრულება.

შესაბამისად, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით საქართველოს იუსტიციის საბჭოსადმი ხარისხიანი და ეფექტიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის მოთხოვნიდან გამომდინარე, მართებულად მიმაჩნია, უარი ეთქვას ნინო ხაბალაშვილს მოსამართლედ განწესებაზე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>დიმიტრი გვრიტიშვილი</u>

ბიულეტენი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა 27.09.2024
მოსამართლეობის კანდიდატი ნინო ხაბალაშვილი დაინიშნოს
1. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 2. თელავის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლედ ახმეტის მუნიციპალიტეტში 3. სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 4. საჩხერის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლედ ჭიათურის მუნიციპალიტეტში

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

დიმიტრი გვრიტიშვილი

2024 წლის 27 სექტემბერი, ქალაქი თბილისი

საჩხერის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ნინო ხაბალაშვილის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 28 ივნისის №1/52 განკარგულებით, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის 17 ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადდა კონკურსი, რომელშიც, სხვა კანდიდატებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო **ნინო ხაბალაშვილმა** (შემდგომში - „კანდიდატი“). კონკურსი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - „კანონი“) 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადების შესაბამისად, ჩატარდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. კანდიდატთა შესახებ მოპოვებული წერილობითი, ასევე - მათი საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, 2024 წლის 17 სექტემბერს, „კანონის“ 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, შევაფასე „კანდიდატი“, რის შედეგადაც მივიჩნიე, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მას მივანიჭე 82 ქულა, რაც „კანონის“ 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 82%-ს შეადგენს.

3. „საბჭოს“ 2024 წლის 19 სექტემბრის №1/83 განკარგულების თანახმად, კონკურსის შემდეგ ეტაპზე გადავიდა „კანდიდატი“. შესაბამისად, „კანონის“ 34[1] მუხლის მე-13

პუნქტით დადგენილი წესით, 2024 წლის 27 სექტემბერს, „საბჭომ“ ჩაატარა ღია კენჭისყრა, რომლის ფარგლებშიც **მივიღე გადაწყვეტილება - საჩხერის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დაინიშნოს „კანდიდატი“**, შემდეგ გარემოებათა გამო:

„კანდიდატი“ კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას დაგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით გავიდა მე-16 ადგილზე („საბჭოს“ ყველა წევრის მიერ განხორციელებული შეფასებების განზოგადების შედეგად მიღებული ქულა: შესაძლო მაქსიმალური შეფასების 81.21%). ამდენად, როგორც აღმოჩნდა, იგი, კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის დონის გათვალისწინებით, არა მხოლოდ მე შევაფასე სრულად დადებითად და მაღალი ქულებით, არამედ - „საბჭოს“ სხვა წევრებმაც, რამაც საბოლოოდ დამარწმუნა, რომ „კანდიდატი“ სრულად აკმაყოფილებს საჩხერის რაიონული სასამართლოს მოსამართლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დიმიტრი გვრიტიშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ვასილ მშვენიერაძე

ბიულეტენი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა 27.09.2024
მოსამართლეობის კანდიდატი ნინო ხაბალაშვილი დაინიშნოს
1. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 2. თელავის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლედ ახმეტის მუნიციპალიტეტში 3. სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 4. საჩხერის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლედ ჭიათურის მუნიციპალიტეტში

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ვასილ მშვენიერაძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე
ნინო ხაბალაშვილის განწესების შესახებ
გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით, გამოცხადდა კონკურსი რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე (17 ვაკანსიაზე).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 ივლისის №1/77 განკარგულებით, კანდიდატად დარეგისტრირდნენ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე პირები, მათ შორის - ნინო ხაბალაშვილი.

კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად. შეფასებისას ვიხელმძღვანელე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანონით დადგენილი წესით, კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დასკვნის გაცნობით, ასევე კანდიდატის საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილებით.

კანდიდატთან დაკავშირებული ინფორმაციის ანალიზისა და შეჯერების შედეგად მივიჩნიე, რომ ნინო ხაბალაშვილი სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, კანდიდატი ასევე შეფასეს კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებით: „ა" სამართლის ნორმების ცოდნა; „ბ"

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; „გ“ წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები; „დ“ პროფესიული თვისებები; „ე“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; „ვ“ პროფესიული აქტივობა. მითითებული მახასიათებლების მიხედვით, ნინო ხაბალაშვილს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად მივანიჭე 80 ქულა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 19 სექტემბრის №1/82 განკარგულებით, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შემდგომ ეტაპზე გადავიდა კანდიდატი - ნინო ხაბალაშვილი. შესაბამისად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა, სადაც გადაწყდა ნინო ხაბალაშვილის მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესების საკითხი.

ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გამართულ ღია კენჭისყრაზე ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ნინო ხაბალაშვილის 3 წლის ვადით განწესების გადაწყვეტილებას მხარი დავუჭირე, ვინაიდან მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს მოსამართლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ვასილ მშვენიერაძე

27 სექტემბერი, 2024 წელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ბიულეტენი

თემურ გოგოხია

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა 27.09.2024
მოსამართლეობის კანდიდატი ნინო ხაბალაშვილი დაინიშნოს
1. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 2. თელავის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლედ ახმეტის მუნიციპალიტეტში 3. სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 4. საჩხერის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლედ ჭიათურის მუნიციპალიტეტში

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს,
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე ნინო ხაბალაშვილის განწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

27 სექტემბერი, 2024 წელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით დაიწყო საქართველოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის 17 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსი, რომელშიც სხვა კანდიდატებთან ერთად დარეგისტრირდა ნინო ხაბალაშვილი.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 34[1] მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, ნინო ხაბალაშვილის შეფასების შედეგების ანალიზისა და გასაუბრების შედეგად კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მოთხოვნებს, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მის მიერ მოპოვებული ქულათა ჯამი შეადგენს 1137 ქულას, რაც ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (1400) 81,21 პროცენტია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მასთან გამართულმა გასაუბრებამ გამოავლინა მნიშვნელოვანი ხარვეზები სამართლის ნორმების ცოდნის, სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის კუთხით. ჩემის აზრით, მოცემულ ეტაპზე მისი კვალიფიკაცია მოსამართლის უფლებამოსილების შესრულებისათვის არასათანადოა.

კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ განხორციელებული შეფასებების განზოგადებით შედგენილ სიაში ნინო ხაბალაშვილმა დაიკავა მე-16 პოზიცია.

ამდენად, კანდიდატის შესახებ მოპოვებული დოკუმენტური ინფორმაციის, მისი საჯარო მოსმენის შედეგების, იუსტიციის უმაღლესი სკოლის შეფასების ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, მივიჩნიე, რომ ამ ეტაპზე მიზანშეუწონელია მისი მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნა.

2024 წლის 27 სექტემბერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე, მხარი არ დავუჭირე საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე ნინო ხაბალაშვილის განწესებას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თემურ გოგოხია

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>გიორგი გზობავა</u>

ბიულეტენი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა 27.09.2024
მოსამართლეობის კანდიდატი ნინო ხაბალაშვილი დაინიშნოს
1. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 2. თელავის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლედ ახმეტის მუნიციპალიტეტში 3. სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 4. საჩხერის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლედ ჭიათურის მუნიციპალიტეტში

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„27“ სექტემბერი, 2024 წელი **თბილისი**

საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე **ნინო ხაბალაშვილის** განწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების

<u>დასაბუთება</u>

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-13 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, 2024 წლის 27 სექტემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებული ღია კენჭისყრის ფარგლებში, მხარი არ დავუჭირე საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე **<u>ნინო ხაბალაშვილის</u>** დანიშვნას.

კანდიდატის - **<u>ნინო ხაბალაშვილის</u>** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კანდიდატის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ მოპოვებული და წარმოდგენილი ინფორმაციის, ასევე კანდიდატთან ჩატარებული საჯარო გასაუბრების საფუძველზე, მივიჩნიე, რომ კანდიდატი - **<u>ნინო ხაბალაშვილი</u>** სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ **<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს</u>**, ხოლო კანონით განსაზღვრული **<u>კომპეტენტურობის კრიტერიუმების</u>** მიხედვით, **<u>ნინო ხაბალაშვილი</u>** ჩემ მიერ შეფასდა მაღალი შეფასებით, კერძოდ - **<u>80 (80%)</u>** ქულით *(იხ. ჩემი 2024 წლის 16 სექტემბრის შეფასება).*

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დანარჩენმა წევრებმა ასევე მიიჩნიეს, რომ კანდიდატი **<u>ნინო ხაბალაშვილი</u>** სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ **<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს</u>**, ხოლო **<u>კომპეტენტურობის კრიტერიუმების</u>** მიხედვით კანდიდატი შეფასდა **<u>1137 ქულით</u>**, ანუ ქულათა მაქსიმალური რაოდენობის **<u>81,21%</u>**-ით.

ჩემ მიერ, მოსამართლის თანამდებობაზე **<u>ნინო ხაბალაშვილის</u>** განწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, გათვალისწინებული იქნა ის გარემოება, რომ 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით შედგენილ რეიტინგულ სიაში მან დაიკავა მე-16 ადგილი (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 ივლისის №1/77 განკარგულებით, მითითებულ კონკურსში დარეგისტრირებული იყო 17 კანდიდატი). აღნიშნულის გათვალისწინებით, **<u>ნინო ხაბალაშვილთან</u>** გასაუბრების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის და ასევე, იუსტიციის უმაღლესი სკოლის შეფასების ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ იგი ამ ეტაპზე სრულად ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლისათვის.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი:

გიორგი გზობავა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ტრისტან ბენაშვილი

ბიულეტენი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა 27.09.2024
მოსამართლეობის კანდიდატი ნინო ხაბალაშვილი დაინიშნოს
1. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 2. თელავის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლედ ახმეტის მუნიციპალიტეტში 3. სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 4. საჩხერის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლედ ჭიათურის მუნიციპალიტეტში

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ტრისტან ბენაშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლედ ნინო ხაბალაშვილის
განწესებაზე უარის თქმის შესახებ
გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის N1/52 განკარგულების საფუძველზე დაიწყო რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა. აღნიშნულ პროცედურაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 ივლისის N1/77 განკარგულებით კანდიდატად დარეგისტრირდა ნინო ხაბალაშვილი.

კანდიდატების შესახებ კანონით დადგენილი წესით მოძიებული სანდო ინფორმაციის საფუძველზე და მათი საჯარო მოსმენის შედეგად 2024 წლის 17 სექტემბერს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით შევაფასე პროცედურაში მონაწილე კანდიდატები, მათ შორის ნინო ხაბალაშვილი, რის შედეგადაც გავაკეთე დასკვნა, რომ ნინო ხაბალაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ნინო ხაბალაშვილს ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული წესის თანახმად, თითოეულ კომპონენტში მივანიჭე შესაბამისი ქულა, რის შედეგადაც მან ჯამში მიიღო - 83 ქულა, რაც ორგანული კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 83%-ს შეადგენს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 19 სექტემბრის N1/82 განკარგულებით რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შემდგომ ეტაპზე გადავიდა კანდიდატი ნინო ხაბალაშვილი.

აღსანიშნავია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას კანდიდატის

მიერ მიღებულმა ქულათა ჯამმა შეადგენა 1137 ქულა (რაც ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (1400) 81,21 პროცენტია). ამასთან, საყურადღებოა, რომ საჯარო მოსმენისას კანდიდატმა სამართლის ნორმების ცოდნისა და სამართლებრივი დასაბუთების უნარის მახასიათებლებში გამოავლინა მნიშვნელოვანი ხარვეზები. რის გამოც ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე ნინო ხაბალაშვილის კვალიფიკაცია არასაკმარისია მოსამართლის უფლებამოსილების სათანადოდ შესასრულებლად.

ამდენად, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით, 2024 წლის 27 სექტემბერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე, ამ ეტაპზე მიზანშეუწონლად მივიჩნიე რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე ნინო ხაბალაშვილის განწესება.

ტრისტან ბენაშვილი

27 სექტემბერი, 2024 წელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ბიულეტენი

ზურაბ გურასპაშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა 27.09.2024
მოსამართლეობის კანდიდატი ნინო ხაბალაშვილი დაინიშნოს
1. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 2. თელავის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლედ ახმეტის მუნიციპალიტეტში 3. სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 4. საჩხერის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლედ ჭიათურის მუნიციპალიტეტში

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მდივანს, ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე ნინო ხაბალაშვილის განწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

27 სექტემბერი, 2024 წელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით დაიწყო საქართველოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის 17 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსი, რომელშიც სხვა კანდიდატებთან ერთად დარეგისტრირდა - ნინო ხაბალაშვილი.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილე კანდიდატების შეფასებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით და ამავე ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

კანდიდატი ნინო ხაბალაშვილი შევაფასე ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 4 (ოთხი) მახასიათებლის მიხედვით, ასევე, ამავე მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე მისი კეთილსინდისიერების შესახებ შევადგინე საბოლოო დასკვნა, რომლის მიხედვითაც დადასტურებულად მივიჩნიე, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

ნინო ხაბალაშვილი ასევე შევაფასე ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 6 (ექვსი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ამ ქულის დასაბუთების გზით. კანდიდატ ნინო ხაბალაშვილის თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებებიდან გამომდინარე, ჩემ მიერ მინიჭებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 82 ქულა.

კანდიდატ ნინო ხაბალაშვილის კეთილსინდისიერების კრიტერიუმის შეფასებისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყველა წევრი მიიჩნევს, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, მის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამმა შეადგინა 1137 ქულა, რაც მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (1400) 81,21 პროცენტია.

შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 19 სექტემბრის 1/82 განკარგულებით აღნიშნული პროცედურის შემდგომ ეტაპზე გადავიდა - ნინო ხაბალაშვილი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 ივლისის №1/77 განკარგულებით მითითებულ კონკურსში დარეგისტრირდა 17 კანდიდატი. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ განხორციელებული შეფასებების განზოგადებით შედგენილ სიაში ნინო ხაბალაშვილმა დაიკავა მე-16 პოზიცია. აღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე, კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის და იუსტიციის უმაღლესი სკოლის შეფასების ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, მივიჩნიე, რომ ამ ეტაპზე, მიზანშეუწონელია მისი მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2024 წლის 27 სექტემბერს იუსტიციის უმაღლესმა საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე, მხარი არ დავუჭირე საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე ნინო ხაბალაშვილის განწესებას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ზურაბ გურასპაშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>გოგა კიკილაშვილი</u>

ბიულეტენი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა 27.09.2024
მოსამართლეობის კანდიდატი ნინო ხაბალაშვილი დაინიშნოს
1. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 2. თელავის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლედ ახმეტის მუნიციპალიტეტში 3. სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 4. საჩხერის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლედ ჭიათურის მუნიციპალიტეტში

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
არამოსამართლე წევრი გოგა კიკილაშვილი

რაიონულ(საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე
კანდიდატ ნინო ხაბალაშვილის დანიშვნის თაობაზე
კენჭისყრის შედეგების დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - ,,საბჭო") 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადდა კონკურსი, რომელშიც, სხვა კანდიდატებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო **ნინო ხაბალაშვილმა** (შემდგომში - ,,კანდიდატი"). ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ,,კანონი") 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მოსამართლის კონკურსით დანიშვნისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ხელმძღვანელობს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 და 34^2 მუხლების შესაბამისად განხორციელდა კანდიდატის შესახებ ინფორმაციის მოძიება და მისი საჯარო მოსმენა, რომელთა შედეგების გათვალისწინებითაც მივიჩნიე, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით შევაფასე 79 ქულით.

2024 წლის 27 სექტემბერს, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით, ჩატარდა ღია კენჭისყრა. კენჭისყრის დროს რაიონულ სასამართლოებში მოსამართლედ დასანიშნად მხარი დავუჭირე აღნიშნულ რეიტინგულ სიაში კანდიდატამდე არსებულ სხვა კანდიდატებს.

მოსამართლის თანამდებობაზე კანდიდატის დანიშვნას მხარი არ დავუჭირე რიგ გარემოებათა გამო:

ვაკანტური თანამდებობების ნაწილი, რომლებზეც კანდიდატს ჰქონდა წარმოდგენილი საკონკურსო განცხადება, შეივსო აღნიშნულ რეიტინგულ სიაში უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატების დანიშვნით (ვაკანსიები ქუთაისის, ბოლნისის, გურჯაანის, სიღნაღის, ახალქალაქის, ოზურგეთის და ხაშურის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში). დანარჩენი სასამართლოების ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატის დანიშვნის თაობაზე მსჯელობისას მხედველობაში მივიღე აღნიშნული სასამართლოების დატვირთულობა და ზოგადად სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველყოფის ლეგიტიმური მიზანი, აქედან გამომდინარე მიმაჩნია, რომ განზოგადებული რეიტინგული ქულა 81.21% არ არის ის მაჩვენებელი, რომელიც მიესადაგება მოსამართლის მიმართ არსებულ სტანდარტებსა და მოთხოვნებს, რის გამოც არ დავუჭირე მხარი მის კანდიდატურას.

გოგა კიკილაშვილი **27 /09 / 2024**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
არამოსამართლე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ლევან ნემსაძე

ბიულეტენი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა 27.09.2024
მოსამართლეობის კანდიდატი ნინო ხაბალაშვილი დაინიშნოს
1. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 2. თელავის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლედ ახმეტის მუნიციპალიტეტში 3. სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 4. საჩხერის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლედ ჭიათურის მუნიციპალიტეტში

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევან ნემსაძე

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლედ ნინო ხაბალაშვილის განწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის N1/52 განკარგულების საფუძველზე დაიწყო რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა. აღნიშნულ პროცედურაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 ივლისის N1/77 განკარგულებით კანდიდატად დარეგისტრირდა ნინო ხაბალაშვილი.

აღსანიშნავია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) შესაბამისად, შევადგინე პროცედურაში მონაწილე ყველა კანდიდატის, მათ შორის ნინო ხაბალაშვილის შეფასების დასაბუთება. აღნიშნული დასაბუთება დაეყრდნო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ორგანული კანონის საფუძველზე კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დასკვნას და საჯარო მოსმენაზე მის მიერ გამოვლენილ თვისებებსა და მახასიათებლებს. ინფორმაციის ანალიზის შედეგად მივიჩნიე, რომ ნინო ხაბალაშვილი ორგანული კანონით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეული მახასიათებლის მიმართ უნდა შეფასდეს დადებითად, შესაბამისად გავაკეთე დასკვნა, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ნინო ხაბალაშვილს ორგანული კანონის თანახმად, თითოეულ კომპონენტში მივანიჭე შესაბამისი ქულა, რის შედეგადაც მან ჯამში მიიღო - 78 ქულა, რაც ორგანული კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 78% შეადგენს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 19 სექტემბრის N1/82 განკარგულებით რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე

გამოცხადებული კონკურსის შემდგომ ეტაპზე გადავიდა 17 კანდიდატი, მათ შორის, ნინო ხაბალაშვილი.

აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ნინო ხაბალაშვილის მიერ მოპოვებული ქულათა ჯამი შეადგენს 1137 ქულას (რაც ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (1400) 81,21 პროცენტია).
უნდა აღინიშნოს, რომ იმ ვაკანტური თანამდებობების ნაწილი, რომლებზედაც კანდიდატს განაცხადი ჰქონდა წარმოდგენილი, შეივსო რეიტინგული სიის იმ კანდიდატებით, რომლებსაც აღნიშნულ კანდიდატთან შედარებით უკეთესი შედეგები ჰქონდათ. ხოლო, რაც შეეხება სხვა სასამართლოებში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატის დანიშვნას, მიმაჩნია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა თანამდებობაზე განაწესოს ისეთი კანდიდატი, რომელიც თავისი კომპეტენციით შეძლებს და უზრუნველყოფს სასამართლოების მაქსიმალურად ეფექტიან საქმიანობას. აღნიშნულთან მიმართებით გავითვალისწინე სასამართლოების დატვირთულობა და სპეციფიკა, კანდიდატის მიმართ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი მაბჭოს მიერ იდენტიფიცირებული და გამოააშკარავებული ხარვეზები, ასევე კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგები და მივიჩნიე, რომ ამ ეტაპზე კანდიდატი ზემოაღნიშნული დატვირთულობის პირობებში, თავისი კომპეტენციით ვერ უზრუნველყოფს სამოსამართლო უფლებამოსილების ეფექტიანად შესრულებას.

ამასთან, საყურადღებოა, რომ საჯარო მოსმენაზე რიგ შემთხვევებში სამართლებრივ საკითხებზე დასმულ შეკითხვებზე კანდიდატის მიერ გაცემული პასუხები იყო ზოგადი ხასიათის, არაზუსტი და არასრული. ამასთანავე, საჯარო მოსმენისას შემექმნა შთაბეჭდილება, რომ კანდიდატი აქტიურად არ ეცნობა კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებს, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე მიზანშეუწონლად მივიჩნიე ნინო ხაბალაშვილის რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე განწესება.

ლევან ნემსაძე

27.09.2024